სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №22

დ. ქედა **09. 02. 2023 წელი**

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის როლანდი ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს. 'E-2010~ (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ედნარ საკანდელიძის სახით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი. დასუფთავების აქციისათვის სამუშაო ხელთათმანების და ერთჯერადი პოლიეთილენის ტომრების შესყიდვა,

1.2 კლასიფიკატორის კოდი CPV18141000 , CPV19640000

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2194 (ორიათასასოთხმოცდათოთხმეტი) ლარს მათ შორის;

2.1.1 სამუშაო ხელთათმანები - 920ცX1,70ლ = 1564 ლარი

2,1,1 ერთჯერადი პოლიეთილენის ტომრები 70კგ.X 9ლ. =630 ლარი

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. საქონლის მიღება - ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას ახორციელებს მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

3.2.მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

3.3.საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, ანგარიშფაქტურის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.2.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3.ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტისა დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით სახელშეკრულებო ღირებულების 2.0% არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

6.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა ასანაზღაურებელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დრისათვის.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2(ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

7.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი:

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში:

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს,რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 01 მარტამდე
10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2023 წლის 01 აპრილამდე..

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების,მოსაკრებელის გადახდაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას #3 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. № GE24NB0330100200165022 სკ 246762061 მერი როლანდი ბერიძე	შპს. ‘E-2010~ ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. #21 საიდ. კოდი 448381992; საბანკო რეკვიზიტი:ს.ს„ბაქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა.ა GE35BG0000000890543600 დირექტორი ედნარ საკანდელიძე

Rolandi Beridze 61002005539
Digitally signed by Rolandi Beridze
Date: 2023.02.09 15:25:26

Ednar Sakandelidze 61006048262
Digitally signed by Ednar Sakandelidze
Date: 2023.02.09 16:11:50